საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/118

ქ. ბათუმი 25 მაისი, 2022 წ.

,,2022 წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 06 მაისის N01-02/108 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ტარიელაძის 2022 წლის 25 მაისის N537462 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2022 წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 06 მაისის N01-02/108 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გამოცხადდეს მიღება ბსუ-ში 2022 წლისათვის განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული სახის პროექტების შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) განცხადებების (პროექტებისა) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - **2022 წლის 31 მაისის ჩათვლით;**

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება - **2022 წლის 1 ივნისიდან - 6 ივნისის ჩათვლით;**

გ) პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2022 წლის 7 ივნისის ჩათვლით;**

დ) გამარჯვებული პროექტების განხორციელების პერიოდი - **2022 წლის 15 ივნისიდან 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.“**

2. კონკურსის ვადებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს სტუდენტური პროექტების შესახებ კონკურსის გამოცხადების განახლებული ტექსტი და წინამდებარე ბრძანებასთან ერთად ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი - კონკურსები).

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**